განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

17 ოქტომბერი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი** 0313
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მუქერია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა მიმართულია, როგორც კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების აუცილებელი ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნისა და უნარების, ისე ემპირიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზსა და მათზე დაყრდნობით პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტის ფარგლებში (4 სემესტრი) კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა ორი კონცენტრაციისაგან შედგება (ბავშვთა და მოზარდთა, მოზრდილთა კონსულტირება) და მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის (ა) საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის კურსები (10 კრედიტი), (ბ) პროგრამის სავალებულო მოდულის კურსები (50 კრედიტი); (გ) პროგრამის არჩევითი სავალდებულო კონცენტრაციის კურსები (26 კრედიტი); (დ) პროგრამის არჩევითი მოდულის კურსებს (4 კრედიტი), (ე) პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი) და (ვ) სამაგისტრო ნაშრომი (20 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამაზე „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება“ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 2 სექტემბერს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განმავლობაში დაათვალიერა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

- **მიღების წინაპირობები:** (ა) უცხოური ენის კომპეტენციის დაკონკრეტება და წინაპირობების ჩამონათვალში B2 დონის მოთხოვნა; (ბ) პროგრამის სილაბუსებისა და გამოყენებული ლიტერატურის შესწავლამ აჩვენა, რომ საკითხავი მასალა, ქართული ენის გარდა, ძირითადად, ინგლისურ (გამონაკლისებში რუსულ ენაზე) ენაზეა მოწოდებული. ამიტომ რეკომენდებულია, მიღების წინაპირობებში უცხოური ენის ინგლისურით შემოფარგვლა, ვინაიდან გერმანული ენის გამოცდით მიღებული მაგისტრანტებისათვის გაჭირდება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ათვისება.
- **ცალკეული კურსები.** (1) საუნივერსიტეტო სავალდებული კვლევის მეთოდები კურსის სხვა, სამაგისტრო დონისათვის შესატყვისი კურსით ჩანაცვლება ან წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებისათვის, გამონაკლისის სახით, პროგრამიდან კვლევის მეთოდების საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსის მოხსნა. (2) კურსის „კვლევის დიზაინი კლინიკურ ფსიქოლოგიაში“ მოდიფიცირება და მეტად მორგება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების საჭიროებებზე, იქნება ეს მხოლოდ რაოდენობრივი, მხოლოდ თვისებრივი ან შერეული კონკრეტული მეთოდების/დიზაინის სიღრმისეული სწავლება თუ სტატისტიკური ანალიზის სწავლებასთან ინტეგრირება. (3) რამდენიმე არჩევითი კურსის სახით სიღრმისეულად რომელიმე ერთი კვლევის მეთოდის სწავლების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.
- **პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებული ლიტერატურა** - პროგრამაში შემავალი სილაბუსების გადახედვა საკითხავი მასალის კუთხით, საჭიროებისამებრ ლიტერატურისა და, შესაბამისად, კურსების შინაარსის გადახალისება/გადასტრუქტურირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - წარმოდგენილი პროგრამის ვიწროდ კლინიკური სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს, სავარაუდოდ, მოუწევთ ერთი რომელიმე კონკრეტული მეთოდის (მაგალითად, სხვადასხვა თვითანგარიშის მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტის, შემთხვევის შესწავლის, დოკუმენტების ანალიზის და სხვ.) გამოყენება. შესაბამისად, მათთვის მოხერხებული იქნება კვლევის კონკრეტული მეთოდ(ებ)ის სიღრმისეულად შესწავლა ცალკეული კურსების სახით. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა ამგვარი კურსების შეთავაზება არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება“ მიზნები (მოამზადოს სპეციალისტები კლინიკურ ფსიქოლოგიაში, რომლებიც რეალურ კლინიკურ სამუშაო გარემოში პრაქტიკულად შეძლებენ წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მაღალკვალიფიციური კლინიკურ-ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას; სტუდენტებს სიღრმისეულად გააცნობიერებინოს ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგის, თეორიული მნიშვნელობა; უზრუნველყოს სიღრმისეული თეორიული ცოდნით კლინიკური ფსიქოლოგიის იმ ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციების შესახებ, რომლის პრაქტიკაში გამოყენებასაც დაეუფლებიან და, შესაბამისად, შეძლებენ კონკურენტულ გარემოში, ცოდნაზე დაფუძნებული ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მაგისტრისთვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში; უზრუნველყოს საჭირო პირობები იმისათვის, რომ სამაგისტრო კურსის სტუდენტი კლინიკური ფსიქოლოგიის დარგში მაღალ ხარისხოვან სპეციალისტად ჩამოყალიბდეს) სრულად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მაღალკონკურენტულ კლინიკურ ფსიქოლოგებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც მზად იქნებიან დამოუკიდებელი პრაქტიკული (ამბულატორიული და სტაციონარული) და სამეცნიერო საქმიანობისათვის. კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, კერძოდ, მათი სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს: • კლინიკური დიაგნოსტიკის, კონსულტირებისა და კვლევის მოთხოვნის მქონე ნებისმიერი ორგანიზაცია/კლინიკა; • ქცევის კორექციისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში კონსულტანტის პოზიცია; • ინტერვიუერი კვლევით ორგანიზაციაში; • პროექტის მენეჯერი გამოყენებით კვლევებში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ეფუძნება სამ პრინციპს: მაღალი აკადემიური კულტურა და

ინტელექტუალური სიმდიდრის შექმნა, მაღალი სამეცნიერო-კვლევითი კულტურა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1.1.1); • უნივერსიტეტის მისია (დანართი 1.1.2); • უნივერსიტეტის წესდება (დანართი 1.1.3); • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 1.1.4); • ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტრატეგია (დანართი 1.1.5); • უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დონის აღმწერებს. ვინაიდან წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მთლიანად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშვებაზეა ორიენტირებული, მასში წარმოდგენილ ყველა კურსს თავისი წვლილი შეაქვს პრაქტიკული კომპონენტის მიმართულებით კურსდამთავრებულისთვის უნარების გამომუშავებაში. უფრო კონკრეტულად, მას შეუძლია, განურჩევლად იმისა, თუ რომელ კონცენტრაციას აირჩევს, სიღრმისეულად გააცნობიეროს თანამედროვე კლინიკური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა, თერაპევტ-კლიენტის პროფესიული ეთიკის საფუძვლები,

თანამედროვე კლინიკური და კრიტეროლოგიური დიაგნოსტიკის სისტემა; კრიტიკულად გაიაზროს კლიენტთან მუშაობისა და კლინიკური კვლევის ელემენტები, თანამედროვე მკურნალობის ფსიქოთერაპიული მიმართულებები, დაგეგმოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სესია და სტრუქტურა, მართებულად შეარჩიოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის თავისებურები სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობების დროს, რეაბილიტაციის პრინციპები; უზრუნველყოს ფართო ინტერდისციპლინური ან მულტიდისციპლინური კონტექსტი ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

გარდა ამისა, პროგრამაში შემავალი კურსები საკუთარ თავზე აღებული პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას უწყობს ხელს. მაგსიტრი შეძლებს კლიენტთან და მის მხარდამჭერებთან ინტერვიუს წარმართვას ორმხრივ ნდობაზე აგებული თერაპიული ალიანსის ჩამოყალიბებას და ანამნეზის შეგროვებას; კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას, მიღებული შედეგების დამუშავებას, დოკუმენტირებას და ანგარიშის დაწერას; კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემის მრავალმხრივ დანახვასა და კრიტიკულად გაანალიზებას; პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევას და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებას; ბავშვთა და მოზარდილთა კლინიკური ფსიქოლოგიური პარამეტრების (ემოციურ-აფექტური, კოგნიტური, ნებელობითი და მოტივაციური სფერო, ინტერპერსონალური ურთიერთობების თავისებურებანი, თვითშეფასება და სხვ.) დიაგნოსტირებას, ფსიქოლოგიურ აშლილობათა გამოვლენას, კლინიკურ დიაგნოსტიკური ტექნიკის და შეფასების ადეკვატურ გამოყენებას; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებას ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე, ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერვენციების განხორციელებას, ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის, კონსულტირების ტექნიკის გამოყენებას; კლინიკური ფსიქოლოგიის საქმიანობის ეთიკური ნორმების დაცვას, პაციენტის უფლებების პატივისცემას, პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, სტიგმის საწინააღმდეგო იდეების დანერგვას.

პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი მუდმივი პროცესია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სამაგისტრო პროგრამა „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება“ კურსდამთავრებულს საჭირო კომპეტენციებს უვითარებს კომპლექსურად: როგორც პრაქტიკულ, ასევე კვლევით უნარებს სტუდენტი ეუფლება ინტენსიურად. პროგრამის სწავლის შედეგებს ავითარებს არა კონკრეტული სასწავლო კურსი ცალკეულად, არამედ ყოველი მათგანი კუმულაციურად.

პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება დაგეგმილად, სისტემურად. ამ პროცესებს არ აქვს სპონტანური ხასიათი. უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, გეგმიური მონიტორინგის ანგარიში, დადგენილი ფორმით განიხილება პროგრამის კომიტეტისა და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე, რომელიც გააანალიზებს მას, შეაფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს, მათ შორის, სწავლის შედეგების მიღწევის საკითხს და დასახავს გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებებს. პროგრამის კომიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის კორექტირებას რეკომენდაციების საფუძველზე, რაც მომდევნო წლის მონიტორინგსა და შეფასების ანგარიშში იქნება ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 1.2.1 და 1.2.5); • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 1.2.2); • სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი (დანართი 1.2.3); • ხარისხის მართვის რეგლამენტი (დანართი 1.2.4); • პროგრამის სამიზნე ნიშნულები (დანართი 1.2.7).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე სწავლის მსურველებს რამდენიმე დაშვების წინაპირობის შესრულება მოეთხოვებათ: (1) აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია ფსიქოლოგიაში; (2) მან უნდა გადალახოს საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; (3) უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გამოცდებზე: (ა) სპეციალობა და (ბ) უცხოური ენა: ინგლისური ან გერმანული. მართალია, ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ უსდ ითხოვს B2 დონის შესაბამის ცოდნას უცხოურ ენაში, ეს არ არის დაკონკრეტებული მიღების წინაპირობებში. გარდა ამისა, ვიზიტის დროს უსდ-ის წარმომადგენლებთან გაიმართლა მსჯელობა ორი უცხოური ენის, ინგლისურისა და გერმანულის მოთხოვნის შესახებ, რაც ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების საფუძველი გახდა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგენს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებულ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამების ანოტაციას. ანალოგიურ ინფორმაციას უნივერსიტეტი განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც წარმოდგენილია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები (საჭირო ლიტერატურის მითითებით), ფორმები, ვადები და მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

უცხოური ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (დანართი 2.1.1);
- სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი (დანართი 2.1.2);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gruni.edu.se/menu content/index/394;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

პროგრამაზე მიღების წინაპირობების სიცხადისათვის, რეკომენდებულია:

- უცხოური ენის კომპეტენციის დაკონკრეტება და წინაპირობების ჩამონათვალში B2 დონის მოთხოვნა;
- პროგრამის სილაბუსებისა და გამოყენებული ლიტერატურის შესწავლამ აჩვენა, რომ საკითხავი მასალა, ქართული ენის გარდა, ძირითადად, ინგლისურ (გამონაკლისებში რუსულ ენაზე) ენაზეა მოწოდებული. ამიტომ რეკომენდებულია, მიღების წინაპირობებში უცხოური ენის ინგლისურით შემოფარგვლა, ვინაიდან გერმანული ენის გამოცდით მიღებული მაგისტრანტებისათვის გაჭირდება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ათვისება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა ფსიქოლოგის ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) დიპლომი, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების პროგრამის სპეციფიკური შინაარსისა და კურსდამთავრებულის სამომავლოს საქმიანობიდან გამომდინარე. ეს არის მოთხოვნა, რომელიც პრინციპულად უნდა შენარჩუნეს განურჩევლად იმისა, თუ რა ცვლილებები შევა შემდგომში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში, ვინაიდან სწორედ ამ წინაპირობას აქვს უდიდესი წონა (სხვა პირობებთან ერთად) პროგრამის შესაბამისი მაგისტრანტების მოზიდვასა და სწავლის დასახული შედეგების საუკეთესოდ მიღწევაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამა მიმართულია როგორც კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების აუცილებელი ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნისა და უნარების, ისე — ემპირიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზსა და მათზე დაყრდნობით პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტის ფარგლებში (4 სემესტრი) კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა, რომელიც ორი მოდულისგან შედგება (ბავშვთა და მოზარდთა, მოზრდილთა კონსულტირება) მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო დისციპლინები (10 კრედიტი), (ბ) სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები სამაგისტრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკიას ჩათვლით 50 + 20 + 10 კრედიტი); (გ) არჩევითი საგნები (მოზრდილთა კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტაცია ან ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტაცია) (26 კრედიტი); (დ) თავისუფალი კომპონენტები (4 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე მოდულებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას. მსგავსი წინაპირობების არსებობა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას ზოგადიდან კონკრეტულამდე/ მარტივიდან რთულამდე/ საბაზოდან ფართომდე.

პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო კურსებთან ერთად, შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმაოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

პროგრამაში უხვად და მძლავრად არის წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებითა და მიმდინარე საქმიანობით.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, პროგრამის IV სემესტრში სტუდენტები კვლევით პროექტზე მუშაობენ და პროგრამის დასრულებამდე წარმოადგენენ სამაგისტრო/კვლევით ნაშრომს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში,

რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში „ნექსუსი“. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2.2.1); • უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 2.2.2); • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 4-დან 6 კრედიტამდე შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. საათების განაწილების ეფექტურობის შესაფასებლად ყოველი კურსის დასრულების შემდეგ ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, რომელშიც მოცემულია კითხვები

დატვირთვის ადეკვატურობის შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

გარდა ამისა, კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სფეროში არსებულ მიღწევებსა და კვლევებს.

კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის „ნექსუსის" საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა ცალკეულ კურსებთან და ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებმაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების ნაწილი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და თანდართული სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება ადგილზე და ბიბლიოთეკარებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „ნექსუსი";
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ორჯგუფად არის გაერთიანებული. პირველი პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსებს შეეხება, მეორე, დიდწილად, კურსებში გამოყენებულ ლიტერატურაზეა ორიენტირებული.

ცალკეული კურსები

- **კვლევის მეთოდები.** ეს არის საერთო საუნივერსიტეტი კურსი, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საერთოდ არ უსწავლიათ კვლევის მეთოდები. ვინაიდან კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას საბაკალავრო დონეზე ფსიქოლოგის განათლებაა მოთხოვნილი (რაც, იმთავითვე გულისხმობს კვლევის მიმართულებით ბაზისურ ცოდნას), აღნიშნული კურსი არარელევანტური იქნება ამ პროგრამის სტუდენტებისათვის. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის სხვა, სამაგისტრო დონისათვის შესატყვისი კურსით ჩანაცვლება (შინაარსისა და

სტრუქტურის განსაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელისა და კურსის განმახორციელებელი პროფესორის კომპეტენციაა) ან წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებისათვის, გამონაკლისის სახით, პროგრამიდან საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსის მოხსნა.

- **კვლევის დიზაინი კლინიკურ ფსიქოლოგიაში.** მართალია, აღნიშნული კურსი ფართო ცოდნას აძლევს სტუდენტს კვლევის მეთოდების შესახებ, ის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი კურსია და არა -- მაგისტრატურისათვის როგორც შინაარსის, ისე -- სწავლის შედეგების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ვინაიდან კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს კლინიკური კვლევის წარმოება მოუწევთ, რომელიმე ერთი კონკრეტული მეთოდის სიღრმისეული ცოდნა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათთვის, ვიდრე ზოგადად არსებული მეთოდების მიმოხილვითი გაცნობა (თუნდაც პრაქტიკულ დონეზე). შესაბამისად, რეკომენდებულია კურსის „კვლევის დიზაინი კლინიკურ ფსიქოლოგიაში“ მოდიფიცირება და მეტად მორგება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების საჭიროებებზე, იქნება ეს მხოლოდ რაოდენობრივი, მხოლოდ თვისებრივი ან შერეული კონკრეტული მეთოდების/დიზაინის სიღრმისეული სწავლება თუ სტატისტიკური ანალიზის სწავლებასთან ინტეგრირება.
- **მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.** წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოუწევთ, თუმცა პროგრამაში არ არის გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სწავლება, იქნება ეს რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.

პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებული ლიტერატურა

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამასი შემავალ კურსებში, უმეტესად, ახალი საკითხავი ლიტერატურაა გამოყენებული, რიგ კურსებში გვხვდება საკმაოდ მოძველებული და თანამედროვეობისათვის შეუფერებელი წყაროები (ცხადია, აქ არ იგულისხმება კლასიკური ნაშრომები, სადაც მართებულია მათი გამოყენება), რაც, თავის მხრივ, კურსის შინაარზეც აისახება და შემდგომში სტუდენტის ცოდნაზეც. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსის „პროფესიული ეთიკის სტანდარტები“ სილაბუსში ძირითად საკითხავ მასალად, ლექტორის მასალების გარდა, მითითებულია რუსი ავტორის 1987 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რაც სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე პროფესიულ ეთიკურ სტანდარტსა და მოცემულობას. ასევე, სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია „ფსიქიკურ აშლილობათა ფსიქოპათოლოგია 1 და 2“, რომელსაც თანდართული აქვს არასრულად მითითებული ლიტერატურის გრძელი ნუსხა, რომელთაგან უმეტესობა (ა) რუსულენოვანია (ამ ენის ცოდნა არ მოეთხოვებათ სტუდენტებს მიღების წინაპირობების მიხედვით), (ბ) მოძველებულია და (გ) არ შეესაბამება ფსიქოლოგიურ აშლილობათა თანამედროვე არც ერთ კლასიფიკაციას.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სილაბუსების გადახედვა საკითხავი მასალის კუთხით, საჭიროებისამებრ ლიტერატურისა და, შესაბამისად, კურსების შინაარსის გადახალისება/გადასტრუქტურირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • წარმოდგენილი პროგრამის ვიწროდ კლინიკური სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს, სავარაუდოდ, მოუწევთ ერთი რომელიმე კონკრეტული მეთოდის (მაგალითად, სხვადასხვა თვითანგარიშის მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტის, შემთხვევის შესწავლის, დოკუმენტების ანალიზის და სხვ.) გამოყენება. შესაბამისად, მათთვის მოხერხებული იქნება კვლევის კონკრეტული მეთოდ(ებ)ის სიღრმისეულად შესწავლა ცალკეული კურსების სახით. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა ამგვარი კურსების შეთავაზება არჩევითი კურსების ჩამონათვალში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. **პრაქტიკის კომპონენტი** გათვალისწინებულია პროგრამაში დამოუკიდებელი 10 კრედიტიანი კურსის სახით, რომელიც ხორციელდება მეოთხე (დამამთავრებელ) სემესტრში, სამაგისტრო კვლევის განხორციელების პარალელურად. სტუდენტები თავად ირჩევენ, პარტნიორი ორგანიზაციების სიიდან, იმ ორგანიზაციებს, სადაც მათ სურთ გაიარონ პრაქტიკა. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი ამთლიანებს ცალკეული თეორიული კურსების ფარგლებში ათვისებულ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას. კურსში გამოიყენება ჩართული დაკვირვებისა და სუპერვიზიის თანხლებით პრაქტიკული დავალებების განხორციელების მეთოდი.

პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტები ფასდებიან შუალედური და საბოლოო შეფასებით, რაც გულისხმობს პრეზენტაციისა და ანგარიშების წარმოდგენას, რომელსაც მაგისტრანტი საჯაროდ იცავს. პრაქტიკის მიმდინარეობა, პირობები, შინაარსი და ფორმატი დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში „კლინიკური პრაქტიკა სუპერვიზიით“, რომელიც ამომწურავად აწვდის ინფორმაციას სტუდენტს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები, კვლევის დიზაინი კლინიკურ ფსიქოლოგიაში, პიროვნების კლინიკური კვლევისა და შეფასების მეთოდები და, ასევე, სამაგისტრო ნაშრომი. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა. გარდა ამისა, სამაგისტრო სწავლების მესამე სემესტრიდან უკლებლივ ყველა სტუდენტი გადის კურსს კლინიკური კვლევის მეთოდები და დიზაინი. დაბოლოს, სამაგისტრო სწავლების მეოთხე სემესტრში, სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო კვლევებზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ კლინიკური ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს. თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება ყოველკვირეულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს -- სათანადო კონსულტირების საშუალება. რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს** (პრაქტიკაში მუშაობა, კვლევის წარმოება, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), შეუძლებელი რომელიმე ცალკეული კურსის დაახელება, რომლის ფარგლებშიც მუშავდება აღნიშნული უნარები. პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები (დანართი 2.4.1); • კლინიკური პრაქტიკის ორგანიზაციებსა და გრიგოლ რობარიძის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; • პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, კოგნიტური დიაგრამებით სწავლება, უკუკავშირის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკაზე დაკვირვება; ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი კურსები ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლის მიდგომებზე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდის შესაძლებლობასა და შესრულებულ აქტივობებზე რეფლექსიაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოყენებული მეთოდების ეფექტურობისა და უკუკავშირის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ჯერ სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ჰყოლია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 2.5.1); • საგანამანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 2.5.2); • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა; ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. თითოეული სასწავლო კურსი ორი კომპონენტით ფასდება და თითოეულისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დასკვნით გამოცდისათვის არ აღმატება განსაზღვრული ქულების 51%-ს). ესენია შუალედური და დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ შუალედური შეფასებების ჯამი 10%-ს აღემატება. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია. სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე თითოეული კომპონენტის (სპეციალობის, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების) ფარგლებში. კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის „ნექსუსის“ საშუალებით. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე (და ასევე, აღწერილია სილაბუსებში). უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი წარმოადგენს პროგრამის დასასრულს, ყველა სავალდებულო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ. მნიშვნელოვანია, სამაგისტრო ნაშრომი არ შეიცავდეს პლაგიატს და აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასების ფორმაში. სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით. კერძოდ, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს კურსის ხელმძღვანელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ნაშრომის დაცვის კომისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები (დანართი 2.6.1); • სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი (დანართი 2.6.1); • პორტალი http://nexus.gruni.ge/student/usertable.php • პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აკადემიური პროგრესის ხელშესაწყობად ნიშნავს კონსულტაციებს კონკრეტული დისციპლინის წამყვანი ლექტორების მონაწილეობით, კონსულტაცია ასევე შესაძლოა წარიმართოს ელექტრონული ფორმითაც, რაც პროცესს უფრო მოსახერხებელს ხდის. სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, წერითი ნაშრომის შეფასების შემდეგ სტუდენტი ლექტორისგან იღებს უკუკავშირს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიაზროს არსებული შეცდომები, პრაქტიკულ მეცადინეობაზე კი ლექტორი ჯგუფთან ერთად განიხილავს ტიპურ შეცდომებს, რაც შემდგომში სტუდენტებს მსგავსი შეცდომების თავიდან არიდებაში ეხმარება. თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ყოველწლიურ სემინარებს საბიბლიოთეკო რესურსის, მათ შორის ელექტრონული ბაზების მოხმარების საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს და სამეცნიერო აქტივობას. სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ იციან ელექტრონული ბაზების მოხმარება და სწავლის პროცესში იყენებენ კიდეც ამ რესურსს. თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია უშუალო გარემო, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, თავისუფლად ისაუბროს აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან, მიიღოს მათგან საჭირო ინფორმაცია და თავადაც მისცეს უკუკავშირი კონკრეტული საკითხის შესახებ. ამის მაგალითია რექტორის საათი, რომლის ფარგლებში რექტორი სემესტრში ორჯერ ხვდება სტუდენტებს, აძლევს მათ რჩევებსა და განმარტებებს. ამავე ფორმატით ტარდება შეხვედრები დეკანთან, ECTE კოორდინატორთან და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორთან, რომელიც სტუდენტებს აცნობს აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,ნექსუსით“ სარგებლობის წესს. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო მობილობის, დასაქმების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების, კონფერენციებისა და საერთაშორისო სასერთიფიკაციო ცენტრების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას იღებენ როგორც პირადი კონსულტაციების, ისე ელ-ფოსტისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის http://www.gruni.edu.ge/ მეშვეობით. სტუდენტთა საკონსულტაციო ფუნქციას კი ასრულებს სტუდენტური სერვისის, საერთაშორისო ინტეგრაციისა და სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრები. ეს ყოველივე მათ შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კვლევებში და ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

რაც შეეხება სტუდენტთა კარიერულ განვითარებას, თვითშეფასების ანგარიშიდან, სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს ხელს უწყობს კარიერულ განვითარებაში, კერძოდ, სტუდენტთა სერვის ცენტრში გამოყოფილია ერთი საშტატო ერთეული — დასაქმების კოორდინატორი, რომლის მიზანია ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას ადგილობრივ და უცხოურ დაწესებულებებში; კონსულტირება გაუწიოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაეხმაროს სტუდენტს დამსაქმებელთან კომუნიკაციაში და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება. ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ კურსების სილაბუსები; ▪ პრაქტიკის დოკუმენტი; ▪ ელექტრონული სისტემა „ნექსუსი.“
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით. სამაგისტრო ნაშრომის თემას ხელმძღვანელთან კონსულტაციით ირჩევს სტუდენტი, ასევე ხელმძღვანელსაც ირჩევს სტუდენტი აკადემიური სკოლის მიერ გამოყოფილი აკადემიური ან მოწვეული პერსონალიდან. მეცნიერ ხელმძღვანელი კი სტუდენტს ეხმარება თემის შერჩევაში, გეგმის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებასა და ეტაპობრივად ამოწმებს ნაშრომს, აძლევს სტუდენტს უკუკავშირსა და რჩევებს, ნაშრომის დასრულების შემდეგ კი აფასებს ნაშრომს დადგენილი კრიტერიუმებით.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად შეთავაზებული იქნება ისეთი პერსონალი, რომელიც თავად ფლობს სამაგისტრო ნაშრომების სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ცოდნასა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს. პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებს აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი გამოცდილება, ფლობენ დოქტორის ხარისხს, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, გააჩნიათ სამეცნიერო-საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და საგრანტო პროექტების განხორციელების გამოცდილება ამ ყველაფრიდან გამომდინარე მათ აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, რომ წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრება; ▪ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლ პერსონალთან; ▪ მაგისტრატურის დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	✓			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელიც შერჩეულია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ღია, გამჭვირვალე კონკურსით და შეფასების მრავალკომპონენტიანი ინდიკატორების საფუძველზე, შედგება უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და მოწვეული სპეციალისტებისგან. აკადემიური პერსონალი ფლობს შესაბამის სამეცნიერო, პრაქტიკულ და პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პროგრამას ხელმძღვანელობს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია აკადემიურ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოების მიერ აკრედიტებული პოსტდიპლომური პროგრამის ხელმძღვანელისა და საზოგადოების გამგეობის

თავმჯდომარის პოზიციაზე. ამასთან, მას აქვს ფსიქიატრიულ სერვისებში პრაქტიკული კლინიკური საქმიანობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს. მისი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით და მოიცავს: პროგრამაში ჩართული პერსონალის მუშაობის კოორდინაციას, ცალკეული სასწავლო კურსების მონიტორინგს, პრაგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილების გაზიარებას და დანერგვის ორგანიზებას, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებით დეკანთან შუამდგომლობას, პროგრამის მონიტორინგს, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის საფუძველზე მათი რეკომენდაციების გათვალისწინებას, პროგრამის განხორციელებას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის ცენტრალური სტრუქტურული ორგანიზაციული ერთეულები, რომელთა საქმიანობაც დარეგულირებულია სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესის შესაბამისად. მაგალითად, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვის სქემა, რომელიც ეფუძნება აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას; აკადემიური, მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო დატვირთვა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს სპეციალური ფორმით, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დადგენილ დროს. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის პირადი საქმეები; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის წესდება „საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ“ (დანართი 4.1.3.) • პერსონალის დატვირთვის სქემა (დანართი 4.1.7.) • კონკურსის დოკუმენტები (4.1.8.) • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უწყვეტი განვითარების და პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი შეფასების ინდიკატორებით, მუდმივად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. მაგალითად, უნივერსიტეტში დაწესებულია შემდეგი ნომინაციები: „წლის ლექტორი“, ხოლო სამეცნიერო მიმართულებით - „წლის კვლევა“. უსდ, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ქმნის და ახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნობრივ პროგრამებს. მაგალითად, უნივერსიტეტში უწყვეტად ტარდება ტრენინგები სწავლების ინტერაქტიური მეთოდების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სრულყოფის და სალექციო კურსების შემუშავების საკითხებზე. უსდ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების მართვისა და საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრები, რომლებიც ასევე ზრუნავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე. მაგალითად, უნივერსიტეტის ხელშეწყობით ხორციელდება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობის ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის (მაკედონია) თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტი აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს ყოველწლიურად სთავაზობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობას სრული დაფინანსებით. ასევე, სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტი, იხილავს როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტთა მიერ წარდგენილ პროექტებს და ღებულობს გადაწყვეტილებას მათი დაფინანსების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება; • პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სტუდენტებთან ინტერვიუები; • პერსონალის დატვირთვის სქემა (4.2.3) • პერსონალის რესურსის/პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 4.2.2)

• უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი (დანართი 4.2.4)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აკადემიური აქტივობები წარიმართება სტუდენტებზე მორგებული, ტექნოლოგიურად აღჭურვილი ინფრასტრუქტურის პირობებში. სწავლების პროცესში გამოიყენება IT ტექნოლოგიები, სწავლების ელექტრონული მასალები. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტრონული პორტალის Nexus მომსახურებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური პროცესის ინფორმაციულ მართვას. სტუდენტებს სწავლის მთელი დროის განმავლობაში ექნებათ აღნიშნული რესურსით სარგებლობის უფლება. ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად, ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას. მუდმივად ხდება ბიბლიოთეკის რესურსის განახლება. ყოველი ახალი წიგნის თუ ელექტრონული მასალის შეძენის შესახებ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ბიბლიოთეკის ვებ-გვერდისა და აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის „ნექსუსის“ მეშვეობით. „საბიბლიოთეკო კონსორციუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალს წვდომა აქვს მონაცემთა ბაზებთან, მათ შორის: Academic Search Elite, Business Source Elite, Master FILE Elite, Medline, Health Source: Consumer Edition + Nursing/Academic Edition, GreenFile, EBSCO და სხვა.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; ინფრომაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრული ვადაში მიღების ინტერესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • ბიბლიოთეკის დირექტორთან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვულობის ფაქტობრივი მდგომარეობა და შესაბამისი დოკუმენტაცია (დანართი 4.3.1) • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინსტრუქციები (დანართი 4.3.2) • ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც იძლევა პროგრამის განვითარების, მისი საჭიროებების ადეკვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელების მოქნილ შესაძლებლობას. უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი მტკიცდება ყოველწლიურად რექტორის ბრძანებით.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე (82,6%), ხოლო დანარჩენი ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდება: სასწავლო-კლინიკური პრაქტიკა 5%, სამეცნიერო კვლევები მხარდაჭერა 2%; საბიბლიოთეკო ფონდი 2,6% და სასწავლო ტექნიკური ბაზის განვითარება 2,6%. უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მეცნიერული კვლევისა და შერმოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტში წარდგენილ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საინიციატივო პროექტებისთვის განკუთვნილია 6 %.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • ადმინისტრაციასთან გასაუბრება; • პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 4.4.1)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იყენებს ამ სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური, სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი, საფინანსო სამსახური, სტუდენტური სერვისისა და მხარდაჭერის სამსახური, კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, დასაქმების კოორდინატორი, ბიბლიოთეკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრი, სკოლა, აგრეთვე, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. საგანმანათლებლო პროცესისა და რესურსების უწყვეტი შეფასების და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის რეგლამენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები ვადების მითითებით, ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც სრულად მოიცავს იმ ღონისძიებათა სპეტრს, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესისა და რესურსების შეფასებისთვის და განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემა რამდენიმე ასპექტს მოიცავს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. უნივერსიტეტში შემუშავებულია და გამოიყენება რამდენიმე სახის (სასწავლო კურსის შეფასების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების, პოტენციურ დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების) კითხვარი კმაყოფილების კვლევების ჩასატარებლად. პროგრამის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელი წარადგენს ინფორმაციას პროგრამის განხორციელების შესახებ, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს

პროგრამის მონიტორინგს სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლებისა და მათი გამოკითხვის შედეგების მიხედვით: რამდენად შესრულდა პროგრამის სასწავლო გეგმა-მატრიცით გათვალისწინებული აქტივობები და პროგრამის შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყო თუ არა შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდებით. აკადემიური კომიტეტი განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ ხარისხის სამსახურის წინადადებების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნებისთვის, სასწავლო წლის ბოლოს, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროს, გამოიცემა რექტორის ბრძანება ექსპერტთა კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიც შეიძლება შეყვანილ იქნან როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ისე გარეშე პირები, მათ შორის, უცხოელი ექსპერტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება დანართი (5.1.1); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 5.1.2); • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 5.1.3); • კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის შეფასების გეგმა (დანართი 5.1.4).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს გარე შემფასებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები. უსდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევებსა და რეკომენდაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე შეფასების ფორმები (დანართი 5.2.1 - 5.2.2); • ხარისხის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძებებზე საუბარი შესაძლებელია, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პროგრამის მონიტორინგი და შეფასება დარეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი. ამ წესის საფუძველზე, პროგრამის ამოქმედებისთანავე, ძალაში შევა შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. ის უზრუნველყოფს შრომისა და საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრას, მისი განხორციელების ხარისხის შეფასებას. პროგრამის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს ორგანიზებას გაუწევს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილე პერსონალთან ერთად გეგმავს ამ პროცესს, განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობას, არჩევს შეფასების მეთოდებს და ტექნიკებს.

გეგმის მიხედვით განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს, დადგენილი ფორმით, განიხილავს პროგრამის კომიტეტისა და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტის ერთობლივი სხდომა, რომელიც აანალიზებს ანგარიშს, აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს და გამოიმუშავებს რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესებისათვის. დადგენილი წესის თანახმად, გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხის კვლევა, სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტთა მიერ, სასწავლო კურსების თვითშეფასება ლექტორების მიერ, შედეგების ანალიზი და პროგრამის საერთო შეფასება და პროგრამის შედარება უცხოეთისა და საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამებთან. შეფასების შედეგად, გამომუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის კომიტეტი ახდენს შესაბამისი შესწორებების შეტანას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 5.3.1); • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 5.3.1); • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 5.3.3.); • ხარისხის მართვის რეგლამენტი (დანართი 5.3.4); • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 5.3.5); • პროგრამის შეფასების გეგმა (დანართი 5.3.6); • პროგრამის გარე შეფასების ფორმა (დანართი 5.3.7); • ანალოგიურ პროგრამებთა შედარების ანალიზი (დანართი 5.3.8).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის]

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული 



მარიამ მუქერია